ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3729038

ნომერი: AR1558120

თარიღი : 15.11.2017

გაცემის თარიღი : 11.12.2017

გაცნობის თარიღი : 11.12.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზანიშვილი , N 15 , (ნაკვეთი N16/61) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ელჩინ ბაირამოვი პ/ნ 01008042038
- თბილისი ზემო ვეძისის დას. N 33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

იმისთვის რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავსირებით, საჭიროა წარმოდგენილ იქნას სარეკონსტრუქციო შენობის ფასადზე განხორციელებული სამუშაოების კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. გაითვალისწინეთ: „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად, ამ დადგენილების მოთხოვნათა დარღვევით I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის განხორციელება განიხილება როგორც უნებართვო მშენებლობა. შესაბამისად, ფოტომონტაჟის დარღვევით განხორციელებული სამუშაოები არის უნებართვო მშენებლობა, რომლის შემდგომი განვითარებას სამსახური ვერ დაეთანხმება. ამავე დადგენილების 66-ე მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, უნებართვო მშენებლობად არ ჩაითვლება I კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობის/მონტაჟის განხორციელება ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის დარღვევით, თუ მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო წერილობით დაადასტურებს დარღვევით განხორციელებული მშენებლობის შესაძლებლობას ან შესაძლებელია ობიექტი მოყვანილ იქნას შეთანხმებულ დოკუმენტაციასთან შესაბამისობაში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენის შემდგომ ასევე გასათვალისწინებელი იქნება:
ფოტომონტაჟზე საჭიროა მითითებულ იქნას სრულყოფილი გაბარიტული ზომები, ფერი და მასალა. ასევე ფართის გაბარიტული ზომები, ქვემოთ მოცემული ხარვეზების შესაბამისად შესწორებული, სადაც ასევე მითითებული იქნება საჩრდილობლების სრულყოფილი გაბარიტული ზომები, მათშორის ტროტუარიდან საჩრდილობლის კიდემდე მანძილი.
ასევე საჭიროა წარმოდგენილ იქნას საკადასტრო გეგმა საპროექტო სამუშაოების დატანით.
ვინაიდან აღნიშნული ობიექტი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, არქიტექტურის სამსახურს მსგავსი სახით სარეკლამო აბრების მოწყობა შესაძლებლად არ მიაჩნია. იგი საკმაოდ გადატვირთული სახის მატარებელია და ჭრელი, საჭიროა მხატვრულ ვიზუალური ელფერის სადა და მსუბუქი ფორმულირების შემუშავება.
აქვე გაცნობებთ:
„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე-18 მუხლის, მე-10 პუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
წარმოსადგენია ახალი ფოტომონტაჟი ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დეტალურად გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით გამოტანილი ხაზის მეშვეობით. ასევე ცალკე წარმოადგინეთ თქვენი კუთვნილი ფართის ფასადის საანგარიშო ზედაპირი და მასზე განსათავსებელი სარეკლამო აბრების ზომები, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ფასადის 20 %–ს.
წარმოსადგენია შესაბამისი თანხმობა განახლებული ფოტომონტაჟის მიხედვით. ასევე, შესაძლებელია ზოგადი თანხმობის წარმოდგენა ან მესაკუთრის წარმომადგენლად რეგისტრირებული პირი დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში თქვენი განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.